ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 70 (12582) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲔᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

> საბჭოთა მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის, თვითეული შემოქმედებითი მუშაკის უმაღლესი მოვალეობაა იყოს კომუნიზმის მშენებელთა რიგებში, ემსახუროს თავისი ნიჭით ჩვენი პარტიის დიად საქმეს, იბრძოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს მწვავე ბრძოლა ორ შეურიგებელ იდეოლოგიას შორის — სოციალისტურსა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის.
>
> ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ.

ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲕᲐᲠᲗ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲕ!

ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲕᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ

ᲛᲗᲔᲚᲘ ჩვენს მრავალერიან ქვეყანას ელვის სისწრაფით მოედო ლიტერატურულ სფეროში გამოწვეული ის დიდი მღელვარება, რომელიც კრემლის სვერდლოვის სახელობის ისტორიულ დარბაზში დაიბადა. ამხანაგ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ სიტყვა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან არა მარტო ლიტერატორების, არამედ ყოველი საბჭოთა ადამიანის სულ-ბაასის საგანი გახდა.

და ეს სავსებით ბუნებრივია. საბჭოთა ლიტერატურის ბედი ისე განუყოფლად არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხთან, რომ არ შეიძლება საბჭოთა მწერლობის ყოველი წარმატება არ ახარებდეს საბჭოთა მოქალაქეს, ხოლო ყოველი მისი წარუმატებლობა არ აფიქრებდეს ჩვენი ქვეყნის ადამიანებს. მწერლობა, სწორედ მისი ხალხური ხასიათის გამო, ყველაზე მასობრივი დარგია ჩვენი სულიერი კულტურისა, ამავე დროს იგი მეტად ბასრი და მძაფრი იარაღია ჩვენი იდეოლოგიური მუშაობისა.

და ეს იარაღი რომ მუდამ მზად გვქონდეს მომართული, სუფთა და თავისუფალი იყოს ყოველგვარი ᲭᲣᲭᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ და ᲮᲘᲜᲯᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ამით დაინტერესებულია მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყანა და ამ ქვეყნის ხელმძღვანელი და წარმმართველი სახელოვანი კომუნისტური პარტია.

საბჭოთა მწერლობის ინტერესების თვალსაზრისით, განუსაზღვრელად დიდია ხაკითხების ის წრე, რომელსაც ამხანაგ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ეს სიტყვა და თაობრის მასალები მოიცავენ. საბჭოთა მწერლობამ დიდი ერთსულოვნებით მიიღო ეს პროგრამული დოკუმენტი. ყოველ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ მწერალს, რომელიც მოღვაწეობს ხალხის ცხოვრების საერთო რიტმით, არ შეიძლება არ აღელვებდეს აქ დაყენებული კითხვები.

„მწერლობა ზნეობითი და გონებითი მეცხარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანამედროვეობა. პოეტის ნაწერებში იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია. რაც უფრო ნიჭიერია მწერალი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ პირობას“, წერდა აკაკი წერეთელი. დიდი პოეტის ეს რეალისტური კონცეპცია დაუბერებლად ძალაში რჩება. ილია, აკაკი და ჩვენი სახელოვანი კლასიკოსები იმიტომ გახდნენ ხალხის სათაყვანებელი მწერლები, რომ მძაფრად, ნათლად და სრულყოფილად გამოხატეს ხალხის ეროვნული და სოციალური ტკივილები და არა მარტო გამოხატეს, არამედ აღზარდეს ჩვენი ხალხი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იდეალებით. მარქსისტულმა ესთეტიკამ მიიღო და განავითარა კლასიკური რეალიზმის თეორიული საფუძვლები. საბჭოთა ლიტერატურის მთავარი პათოსი იყო, არის და მუდამ იქნება ხალხის ცხოვრება, ხალხის ინტერესების სამსახური, მისი შემოქმედებითი მისწრაფებანი და განწყობილებანი.

ამხანაგ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ სიტყვა მოგვაგონებს ჩვენ — თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ სოციალისტური რეალიზმის მონაპოვარის განმტკიცებასა და დაცვას, მუდამ ვიყოთ შეურიგებელი ყოველგვარ დეკადენტურ და ფორმალისტურ მიმდინარეობათა გამოვლინებისადმი საბჭოთა ლიტერატურაში. ამ სიტყვის მთავარი პათოსი ის არის, რომ იგი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს ხელოვანის პასუხისმგებლობას ხალხისა და პარტიის წინაშე და აქ იგი თანაბრად შეეხება ჩვენს ახალგაზრდებსაც და მწერლების ძველ გვარდიასაც.

ამ უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მოვიდა ახალი თაობა; ეს თაობა იმ ახალ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ატმოსფეროში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, რომელიც ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს შეიქმნა. სწორედ ამ ახალ ატმოსფეროს მოჰყვა ახალი ყლორტების გაფურჩქვნა ჩვენს მწერლობაში. ეს ისტორიული ფაქტია, და ჩვენც ყოველი ახალი მოვლენა ამ ვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ.

ამ ვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ ის ახალი ლიტერატურული თაობაც, რომელიც ჩვენს მწერლობაში შემოვიდა. როდესაც ჩვენ ლიტერატურაში შექმნილ ახალ ატმოსფეროზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია ვგულისხმობთ სოციალისტური რეალიზმის პოზიციების თანმიმდევრულ დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა მწერლობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ერთი მხრივ ენობრივი ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, პრიმიტივიზმისა და ფორმის ჩამორჩენილობის უკუგდებას, მეტი გასაქანი მისცა აზრსა და ფანტაზიას, ფორმებისა და სტილის სხვადასხვაობას, ხოლო მეორე მხრივ, ასევე მძაფრი ბრძოლა გამოუცხადა აბსტრაქციონიზმის, ფორმალიზმისა და დეკადენტური სკოლების სხვა გადმონაშთებს.

საბჭოთა დემოკრატიზმი საშინელი მტერია ყოველგვარი ანარქიზმისა და თავაშვებულობისა, უპრინციპობისა და განურჩევლობისა; მწერლობაში ისევე საჭიროა დისციპლინა და წესრიგი, როგორც ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში. ლიტერატურა საშუალებაა და არა თვითმიზანი; მწერლობა თავისი მაღალი დემოკრატიული სულითა და ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘᲗ უნდა ემსახურებოდეს ხალხს, საბჭოთა ხალხის დიდსა და კეთილშობილურ მიზნებს. ნამდვილი მწერლობა იყო, არის და მუდამ იქნება ხალხის მსახური.

ამიტომ ჩვენ ვიყავით და მუდამ ვიქნებით მტერი ყოველგვარი განურჩევლობისა მწერლობაში, თავაშვებულობისა და ინდივიდუალისტური ᲙᲐᲠᲘᲩᲙᲘᲢᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ეგოისტური, თვითმიზნური ბატონ-ყაცური გაბედნიერისა და განდგომისა, ამიტომ დაუწდგომელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ იმ ლიტერატურულ ინერციებს, რომლებიც დაკავშირებულია ანტირეალისტური სკოლების ანტიხალხურ ნალექებთან.

ჩვენ მწერლობას ვუყურებთ, როგორც ამას მე-19 საუკუნის სამოციან წლებში დიდი ილია აღტკაცებდა, ხალხის აღზრდის, ერის სამსახურის თვალსაზრისით. ხალხის ინტერესების სამსახური იყო და მუდამ იქნება ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ მწერლობის გამოსავალი პრინციპი. და ყოველი ახალი მოვლენა მწერლობაში, ახალი თაობის მიერ მოტანილი ახალი ინტონაციები და ფორმები დიდი საზოგადოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ. სხვა საზომი არ ჰქონია და არც ექნება რეალისტურ მწერლობას.

ᲡᲔᲠᲒᲘ ᲞᲘᲚᲘᲐᲘᲐ.

ᲘᲓᲔᲝᲠᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲚᲝᲑᲐ

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ შემოქმედების საკითხებზე გამართულ დიდ საუბრებს, რაც უკვე სამი თვეა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, სულ უფრო და უფრო მეტი დადებითი და ნაყოფიერი შედეგები მოაქვს. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მეგობრულმა შეხვედრებმა და გულახდილმა საუბარმა შემოქმედებით ინტელიგენციასთან, ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ვრცელმა სიტყვამ, რომელიც მიეძღვნა მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრისა და კინემატოგრაფიის მუშაკთა ნაწარმოებების იდეური და მხატვრული დონის ამაღლების ამოცანებს, სრული გარკვეულობა შეიტანეს თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემებში, რომელთა მართებულ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

სოციალისტური რეალიზმი — ერთადერთი სწორი მეთოდია, რომლითაც უნდა ვითარდებოდეს საბჭოთა ხელოვნება საერთოდ, და კერძოდ, მხატვრობა. იგი ფლობს სინამდვილის ასახვის უაღრესად მრავალფეროვან ფორმებს.

პროფესიული ოსტატობა, მაღალი იდეურობა და პარტიულობა — აი საბჭოთა სახვითი ხელოვნების განმასხვავებელი და დამახასიათებელი თვისებები. ხელოვნება არ შეიძლება განვითარდეს, თუ არ იქნება ᲯᲐᲜᲐᲚᲘ შემოქმედებითი ძიება. ეს ხელოვნების უცილობელი კანონია.

1962 წლის რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა საქართველოს მხატვართა მორიგი შემოქმედებითი ანგარიში იყო. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა გამოფენის დათვალიერებისას აღნიშნეს, რომ იქ ძირითადად წარმოდგენილი იყო რეალისტური ნამუშევრები, რომლებიც სიმართლით ასახავენ ჩვენი დღეების სინამდვილეს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ზოგიერთი მხატვრის ნამუშევარს არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებდა. მცირე რაოდენობით იყო ისეთი სურათები, რომლებიც გადმოგვცემენ საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის პათოსს, ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვან ცხოვრებას.

სრული უფლება გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ, რომ ქართველი მხატვრები პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივ მზრუნველობას ახალი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებებით უპასუხებენ, მთელი თავიანთი შემოქმედებით და სურათებით უმღერებენ ჩვენი ეპოქის — ლენინური იდეების ზეიმის ეპოქის სიდიადეს.

Ზ. ᲚᲔᲥᲐᲕᲐ,
საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ᲓᲘᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ — ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

განსაკუთრებულად მინდა ხაზი გავუსვა იმ საუცხოო ამბავს, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრები საბჭოთა კულტურის მოღვაწეებთან ტრადიციად იქცა. ცხადია, ასეთი შეხვედრები ჩვენ, შემოქმედებითს მუშაკებს, გვეხმარება უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმ მოთხოვნათა მასშტაბი, რომლებსაც ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი ხელოვნებას უყენებენ.

„ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, იდეოლოგიურ მუშაობაში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუსიკას... ჩვენ გვინდა მელოდიური, შინაარსიანი მუსიკა, რომელიც აღფრთოვანებს ადამიანებს, წარმოშობს მძლავრ გრძნობებს“, — თქვა ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ თავის სიტყვაში. ეს არის პარტიის ხმა და, მასასადამე, ხალხის ხმა. ჩვენ კი, კომპოზიტორები და მუსიკოსები, მოვალენი ვართ ყურადღებით მოვისმინოთ და მთელი ჩვენი მუშაობის სახელმძღვანელოდ და ქვაკუთხედად გავიხადოთ იგი.

დიდი შთამაგონებელი და აღმზრდელობითი როლი, რომელსაც პარტია საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებას აკუთვნებს, მოგვიწოდებს უფრო მეტი მოვთხოვოთ საკუთარ თავს. ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ღრმააზრიანი, უაღრესად შინაარსიანი სიტყვა დაეხმარება შემოქმედებითს ინტელიგენციას უფრო ნათლად, მთელი სისრულით გაიგოს მის წინაშე მდგომი ამოცანები.

„ყოველ ხალხს, — მიუთითებდა ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ, — აქვს თავისი ტრადიციები მუსიკაში და უყვარს თავისი ეროვნული, ხალხური მელოდიები და სიმღერები“, აი სწორედ ეს ტრადიციები და ხალხის ეროვნული მუსიკალური საუნჯენი უნდა იყოს ჩვენი შემოქმედების საყრდენი და მასაზრდოებელი წყარო. ასეთივე სულისკვეთებით უნდა იზრდებოდნენ ახალი მუსიკალური კადრებიც. მაშინ ისინი არ მოსწყდებიან ეროვნულ ნიადაგს, ჩვენთვის მიუღებელი ზოგიერთი მიმდინარეობით ვატაცებას დაძლევენ და ხალხის სიყვარულსა და აღიარებას მოიპოვებენ.

რას ელიან საბჭოთა ადამიანები ჩვენგან, კომპოზიტორებისაგან? უფრო მეტ კარგ, გულშიჩამწვდომ ნაწარმოებებს! მერე რამდენი მუსიკის მოყვარული გვყავს! ჩვენი აუდიტორია შედგება ათობით და ასობით მილიონი ადამიანისაგან, რომლებსაც უყვართ და ესმით ნამდვილი მუსიკა. ჩვენი მოწოდებაა შეგვქმნათ საბჭოთა ხალხის ღირსეული ნაწარმოებები.

ᲝᲗᲐᲠ ᲗᲐᲥᲗᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
კომპოზიტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხელოვნების მრავალფეროვან დარგებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება კინოს. ეს სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. საბჭოთა კინოხელოვნება ხალხის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო მხატვრულ საშუალებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ უყენებენ დიდ მოთხოვნებს კინოხელოვნების დარგში მომუშავე შემოქმედთ.

რაღაცა შეფასება მისცა საბჭოთა კინოხელოვნებას ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ თავის გამოსვლაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრისას ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. მაგრამ მიღწევები, ცხადია, თვითდამშვიდების უფლებას როდი გვაძლევენ. ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ მიუთითებდა: „ჩვენ ვხედავთ და დიდად ეაფასებთ მიღწევებს მხატვრული კინემატოგრაფიის დარგში. და ამასთან ერთად მიგვაჩნია, რომ მიღწეული არ შეესაბამება ჩვენს ამოცანებს და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც კინოხელოვნების მოღვაწეებს აქვთ... დიდად გვაწუხებს ის გარემოება, რომ კინოთეატრებში აჩვენებენ შინაარსით უმწეო და ფორმით უძლური მეტად მცირე კინოსურათებს, რომლებიც ან აღიზიანებენ, ან ძილს, მოწყენილობისა და სევდის მდგომარეობას უქმნიან მაყურებელს“.

დროა ამ მტკივნეულ საკითხებზე ვიფიქროთ ჩვენ, ქართული კინოხელოვნების წარმომადგენლებმა. თუ ამჟამად არსებულ მდგომარეობას გულდასმით განვიხილავთ, ძნელი არ იქნება დავრწმუნდეთ, რომ ხშირად ჩვენი კინომოღვაწეები უქმად ხარჯავენ დროსა და სახელმწიფო სახსრებს არასადღეისო პრობლემების, ვიწრო მორალური თემების, ცრუ ფსიქოლოგიზმის, ნაკლები საზოგადოებრივი და სოციალური ღირებულების შემცველი კინოსურათების შესაქმნელად. ასეთი ფილმები, რომლებიც გამოგონილ, ხელოვნურ კონფლიქტებზეა დაფუძნებული და სრულებით არ არის ტიპური ჩვენი ყოფისათვის, მაყურებელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევენ.

საჭიროა ერთ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება. ცხადია, პროგრესული და მაღალიდეური კინოხელოვნების, მსოფლიოს რომელ ქვეყანასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, გამოცდილებისა და მიღწევათა ათვისება და შემოქმედებითად გამოყენება ჩვენს სინამდვილეში კარგი და აუცილებელი საქმეა. მაგრამ დამლუპველია ბრმა, მონური მიბაძველობა. არ შეიძლება სხვა სოციალურ გარემოში შექმნილი სახეებისა და მხატვრული ხერხების მექანიკური გადმოტანა. ასეთ შემთხვევაში მხატვრული სახე, რაოდენ მაღალსტატუტურადაც უნდა იყოს იგი გამოძერწილი, დაკარგავს ეროვნულ ხასიათს და პაერში უმწეოდ გამოკიდებული აღმოჩნდება.

ქართული კინოს საუკეთესო ნაწარმოებები ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი აქტუალობით, თავისი პოზიციების შეტევი. მებრძოლი ხასიათით, ეზრის სინთეზილთ და ღრმა რეალიზმით. ისინი ყველასათვის გასაგები იყო და ჩვენი ხალხის კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს ემსახურებოდნენ და ემსახურებიან.

დღეს, როცა პარტიამ ერთხელ კიდევ მოგვიწოდა მაღალიდეური, ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ და ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ კინოხელოვნებისაკენ, ჩვენი — ქართული კინემატოგრაფიის უფროსი და ახალგაზრდა თაობის წმიდათა-წმიდა ვალია მეტი მოთხოვნილება წავუყენოთ საკუთარ თავს და ჩვენ გვერდით მომუშავე ამხანაგებს, ვიბრძოლოთ და ვიშრომოთ იმისათვის, რომ შევქმნათ მაღალიდეური, ჩვენი ხალხის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის გრძნობებისა და ფიქრების ამსახველი კინოსურათები, რომლებიც ერთხელ კიდევ დაადასტურებენ იმ აზრს, რომ საბჭოთა ხელოვნება, და კინოხელოვნება კერძოდ, ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲠᲝᲜᲓᲔᲚᲘ,
კინორეჟისორი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის გამგეობის მდივანი.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 18 მარტს საპარაში, სახალხო დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოეწყო საფრანგეთის ატომური იარაღის ახალი საცდელი აფეთქება. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში მიაჩნიათ, რომ საფრანგეთის მთავრობამ ამ ნაბიჯით აბუჩად აიგდო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1959 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოუწოდა საფრანგეთს თავი შეიკავოს ატომური იარაღის გამოცდის მოწყობისაგან საპარაში. 1961 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა ხალხებს, ეფიციალურად აღიარებინონ ალჟირის ეროვნული ფრონტი, ალჟირის ეროვნული ბურჟუაზიის ერთ-ერთ ორგანიზაციად, ალჟირის ეროვნული ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲐᲜᲘᲠᲘᲡᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲘᲡ

ლ. ჯანანაშვილის მიმდევრები

მხარი დაუჭირა მთელმა ფაბრიკამ

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი დიდი ინტერესით გაეცნო თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მჭსოფლიოა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ლევან ჯანანაშვილის თაოსნობას. ეს ინიციატივა მხარდაჭერის ღირსია, ამაზე მეტყველებს თვით ჯანანაშვილის ბრიგადის წარმატებები. შარშან ამ პატარა კოლექტივმა გეგმასთან შედარებით 50 პროცენტით შეამცირა ნედლეულის დანაკარგები, 495 კილოგრამი ძაფი დაზოგა და მისგან 886 მეტრი ქსოვილი მოქსოვა. ეს ცოტა როდია. აქედან 295 კაცის კოსტიუმი და 300 ბავშვის პალტო შეიკერება.

ლ. ჯანანაშვილის ბრიგადის მაგალითისამგრ ჩვენს ფაბრიკას შეუძლია დიდძალი მასალები დაზოგოს. ეს განსაკუთრებით ეხება ექსპერიმენტულ და მოსამზადებელ საამქროებს, რადგან ამ საამქროებზეა დამოკიდებული ქსოვილების ყაირათიანად გამოყენების საქმე.

თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი გაეცნო ფეიქართა ამ ძვირფას თაოსნობას, თვალი გადაავლო რეზერვებს, აწონ-დაწონა ყველა შესაძლებლობა და გადაწყვიტა:

წლის ბოლომდე დაზოგოს 1500 კვადრატული მეტრი შალისა და 2.000 კვადრატული მეტრი სასარჩულე ქსოვილი.

დაზოგილი მასალებიდან გეგმის გადამეტებით შეკერეს 375 კოსტიუმი; გამოშვებული პროდუქციის ხარისხი აამაღლოს ერთი პროცენტით.

ყველა უბანზე და გასაღლის ყველა მუხლში მტკიცედ დაიცვას მომპირნეობის რეჟიმი და სამშობლოს მისცეს 35 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ვალდებულებათა აღებიდან უკვე საკმარისი დრო გავიდა. ორი თვის მაჩვენებლები იმის გარანტია იძლევა, რომ ფაბრიკას შეუძლია ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად განაღდება.

აი ეს შედეგებიც: ორი თვის დავალება ფაბრიკის კოლექტივმა 104,2 პროცენტით გაანაღდა, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 9 ათასი მანეთით, დაზოგილია 570 მეტრი შალისა და 247 მეტრი სასარჩულე ქსოვილი. ორ თვეში სახელმწიფოს 12 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მივეცით.

მ. ავალიანი — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი, პ. ოსიპოვა — ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, გ. ცაავა — პარტიბიუროს მდივანი, ნ. დეკანოსიძე — ექსპერიმენტული საამქროს უფროსი, ხ. ბაზოიანი — მოსამზადებელი საამქროს უფროსი, ზ. სიხარულიძე, გ. ხარატოვი, ე. მანაგაძე, ხ. რუსაზოვი — ჩამხაზველები.

დაზოგილი ნედლეულით

ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, შარშან მეოთხე კვარტალში შეიქმნა. დაარსებიდანვე შევუდექით ბრძოლას კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად. ბრიგადის ყოველი წევრი მონდომებით შეუდგა შრომას, და დიდებული შედეგიც მიეიღეთ. შარშან მეოთხე კვარტალის გეგმა 120 პროცენტით შეგასრულეთ. 53.186 კვადრატული დეციმეტრი ტყავი დავზოგეთ, დაზოგილი მასალიდან 3.500 წყვილი ფეხსაცმლის საპირე გამოვეკერთ, ხოლო სასარჩულე ნედლეულისაგან — 2.500 წყვილი ფეხსაცმლის სარჩული.

კიდევ უკეთ წარვმართეთ მუშაობა წელს. იანვრის საწარმოო დავალება 127 პროცენტით გავანაღდეთ და 12.900 კვადრატული დეციმეტრი ტყავის ეკონომია გავწიეთ, დანაზოგიდან დამატებით გამოვეკერით 645 წყვილი ფეხსაცმლის საპირე.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ლ. ჯანანაშვილის ბრიგადის თაოსნობას რომ გავეცანით, გადავწყვიტეთ წელს კიდევ უკეთ წარვმართოთ ბრძოლა ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, მივაღწიოთ ნედლეულის დიდ ეკონომიას. კონკრეტულად ვიკისრეთ — ბრიგადის ყოველმა წევრმა გამომუშავების წლიური ნორმა შეასრულოს 110 პროცენტით. წლის მანძილზე დავზოგავთ მოსახმარი ნედლეულის სამ პროცენტს.

ვალენტინა ტარასენკო, თბილისის ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანების სათავო საწარმოს საზედამხედველო-საგამომკრელო საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელი.

20 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სგელები და საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები გადაეცათ მეცნიერების მოღვაწეებს, პარტიულ მუშაკებს, კულტურისა და მედიცინის მუშაკებს, ინჟინრებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და სხვა დარგების მუშაკებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. ა. კვაკაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ს. ძოწენიძემ** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორს **კ. ტ. ლოლაძეს,** რომელსაც ეს ჯილდო მიენიჭა დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს **ვ. ვ. ნანეიშვილს,** რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით და არმიისა და ავიაციაში ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები მიეცა სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფმა, რომლებიც მრავალი წლის და უნაკლო სამსახურისათვის დაჯილდოვდნენ. საპატიო სიგელები სულ გადაეცა 12 დაჯილდოებულს.



მთავრობის ჯილდოების გადაცემა

ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მთავარ ინჟინერს **ა. ა. მასხარაშვილს** გადაეცა სიგელი საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. იგი ამ სიგელით დაჯილდოვდა დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და ნაყოფიერი საქმიანობისათვის. ამ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელები მიიღეს ავრეთვე საქართველოს ჩაის ტრესტის ინჟინერ-საკონსულტანტმ **ს. ა. ბიპერმა,** საქართველოს მიწათმოქმედების ტექნიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორ **ჟ. ე. ბოკერიამ,** ბორჯომ-ბაკურიანის ტრესტის ინჟინერ-ტექნიკოსებმა **ბ. ბ. ბოლქვაძემ** და **ბ. ბ. ბერიძემ

ჩვენი დღეების გმირებს ვუმღერეთ

ᲗᲕᲘᲗᲠᲝᲑ მართებული იქნება, თუ წერილს დავიწყებ ჩემი პირადი მწერლური დამოკიდებულებით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვისადმი, რომელიც მან წარმოთქვა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. ეს სიტყვა პარტიის ხმაა და, მაშასადამე, მთელი ჩვენი ხალხის ხმაც არის. ამიტომაც წავიკითხე ის ასეთი უყურადღებითა და დაძაბული ინტერესით. იქ გამოთქმული თვალსაზრისით განვეგრიტე როგორც საკუთარი, ისე თანამოკალმეთა შრომა.

ყოველი მეშმარიტი მწერლისათვის დღესავით ნათელია, რომ ლიტერატურა უარსრობაა, თუ მას არ ექნება სწორი მიზანდასახულობა, მჭიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, იმ ოცნებებთან და იმედებთან, რითაც ხალხი ცოცხლობს და არსებობს. და ყოველივე ამისაკენ, როგორც ხელოვნების განვითარების ერთერთი ნამდვილად მართებული და ნაყოფიერი გზისაკენ, ერთხელ კიდევ მოგვიწოდა კომუნისტურმა პარტიამ.

მაგონდება წარსული წლები, როცა ზოგიერთი ლიტერატორის გონება შებოჭილი იყო ფორმალისტური ანდაუბადო, უსაგნობისადმი მისწრაფებით და ფუტურიზმით.

პარტიამ მაშინაც მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ამგვარი გადასვლანი რეალიზმისაგან. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთელმა შემდგომმა გზამ აშკარად დაადასტურა ამ კრიტიკის გამჭრახობა, დროულობა და სისწორე. ამ დეკადენტურ მიმდინარეობებს არავითარი სოციალური საფუძველი არ გააჩნდათ, არსებითად ეს მოდისათვის ხარკის გადახდა იყო. მაგრამ დღევანდელ დასავლეთში გავრცელებული ანხტრაქციონიზმი, დადაიზმი და ყველა ჯურის იზმები განა გაზულუქებული ობივატელების შექმნილი ანეგდოტია? არა, ეს არ არის ანეგდოტი. ეს კაპიტალისტური სამყაროს დაცემულობისა და ლპობის ფილოსოფიაა, გამოვლინებაა კაპიტალიზმის იდეოლოგიის სრული მოწყვეტისა ხალხის მასების მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისაგან, იმ ხალხისა, რომლის წიაღშიც ყოველთვის მოიპოვება ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის დიდი შინაგანი ძალა. ამიტომ არაფერი საერთო არა აქვს ამ ეგრეთწოდებულ იდეოლოგთა შეხედულებებს ხალხის ჭეშმარიტ მოთხოვნილებებთან, რომლებიც ასე ნათელი და ოპტიმისტურია, ამ სინათლისა და ოპტიმიზმისაკენ ყოველთვის მოგვიწოდებდა და მოგვიწოდებს კომუნისტური პარტია.

იმპერიალიზმის იდეოლოგია ხომ ანტიხალხური ფილოსოფიურ დოქტრინაზე, სრულ აგნოსტიციზმზეა დაყრდნობილი, რომელიც სამყაროს შეუცნობელობას, ე. ი. პირწყვარდნილ იდეალიზმს აღიარებს. ამიტომ თუ მეტი არა, გულუბრყვილობად მიმაჩნია მსჯელობა იდეოლოგიათა მშვიდობიან თანაარსებობაზე, რადგან სინამდვილეში ამ იდეოლოგიათა შორის შეურიგებელი, სადანასისლო ბრძოლაა და განა შეიძლება მშვიდობა არსებობდეს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, ხალხურობასა და ანხტრაქციონიზმს შორის. ჩვენ გვესმის, კარგად გვესმის, რომ ანხტრაქციონიზმის დაცვა დაცვაა ბურუჟაზიული წესწყობილების საფუძვლებისა, უარყოფაა ჰუმანიზმისა და კაცობრიობის ისტორიული პროგრესისა.

ანხტრაქციონიზმი — ეს არის რწმენის დაკარგვა ადამიანის მიმართ, უარყოფა მისი შემეცნებითი შესაძლებლობისა, უნდობლობა გონებისადმი, რომელის ნაცვლად იგი თავს გვაბეზეს რაღაც მსჯელობას სინამდვილის რეალობისა და ალიუზორულობის შესახებ.

დაახლოებით ასეთი იყო ჩემი ფიქრები, როცა ყვითხულობდი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, რომელიც ასე მგზნებარედ იცავს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს ანხტრაქციონისტული ხელოვნისაგან.

ვფიქრობდი იმასაც, რა განუსაზღვრელად ვრცელი ასპარეზი ეშლება თვალწინ პარტიისა და ხალხის სამსახურში ჩამდგარ შემოქმედს ჭეშმარიტი ნოვატორობისა და თვითმყოფობისათვის. „საბჭოთა მწერლის, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მხატვრის, კომპოზიტორის, თვითეული შემოქმედებითი მუშაკის უმაღლესი მოვალეობაა იყოს კომუნიზმის მშენებელთა რიგებში, ემსახუროს თავისი ნიჭით ჩვენი პარტიის დიად საქმეს, იბრძოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის“.

არანაკლები სისასტიკით, ვიდრე ანხტრაქციონიზმს, უნდა ვებრძოლოთ ნატურალიზმს, ფოტოგრაფიზმსა და ცხოვრების პრიმიტიულად ასახვას. ერთი შეხედვით ნატურალიზმი თითქოს უნათესავდება, ადვილად აფარებს თავს რეალიზმს, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის გადაულახავი უფსკრულია. ნატურალიზმი ხომ იგივე ფორმალიზმია, მისი, ასე ვთქვათ, შებრუნებული მხარეა.

როცა ვფიქრობთ ლიტერატურაზე, მის ბედზე — დღევანდელსა თუ მომავალზე, არ შეიძლება არ დავფიქრდეთ იმაზეც, თუ სად დაიწყო ან ვინ დაიწყო ლაპარაკი „მამებსა და შვილებზე“. თუ კი საქმეა ასეთი ტერმინოლოგიის ხმარება, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა: ვინ არიან ჩვენი მამები, ვინ არიან ლიტერატურის ეშეშარიტი მამები, როგორია მათი პოზიცია და შეხედულებანი? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ჩვენ არა ვართ უმადური შვილები, მამებს ამაგს რომ ივიწყებენ. ჩვენი მამები ებრძოდნენ ცარიზმსა და ობსკურანტიზმს, მათ ჩვენს ქვეყანაში პირისაგან მიწისა აღგავეს პარაზიტთა კლასი, ისინი თავგანწირვით ებრძოდნენ ფაშიზმს, პიროვნების კულტის პერიოდის მთელი სიძნელეების მიუხედავად დაუცხრომლად აშენებდნენ ახალ სამართლიან ცხოვრებას, რომლის დაცვა და თვალისჩინეთით გაფრთხილებაც ჩვენ გვიანდერძეს. დიდ ლიტერატურაში კი ჩვენი მამები იყვნენ და არიან პუშკინი, ტოლსტოი, რუსთაველი და ჭავჭავაძე, სერვანტესი და ბალზაკი, გორკი და მაიაკოვსკი. ასეთი მამების შვილებს სწორედ რომ საამაყო გვაქვს და თავი გვეამყოფა კიდეც.

ჩვენთვის გასაგებია მგზნებარება და სიფიცხე ახალგაზრდობისა, რომელიც ისწრაფვის ახალი გზებისა და ძიებისაკენ, ნოვატორობისა და ახალი შემოქმედებითი აღმოჩენებისაკენ. გასაგებია იმიტომაც, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ძიებათა და აღმოჩენათა ფულით არის გამსჭვალული. მაგრამ არ შეიძლება არარაისაგან აღმოჩენა რაიმესი. ამ აღმოჩენების საფუძველი ტრადიციაა. ჭეშმარიტი ტრადიციები კი მუდამ რევოლუციურია, ფართო გზას რომ უხსნის ჭეშმარიტ ხიბლს, ახალგაზრდულს, ცხოველმყოფელს და ხალხის გულთან მჭიდროდ დაკავშირებულს.

თუ თვით ცხოვრების მიერ დასმული ახალი საკითხები, ახალი პრობლემები ჩვენი ყოფისა არ გვაღელვებენ თავის სიახლით და თუ არ გავიაზრებთ ამ ყოფას შემოქმედებითად და ახლებურად; თუ ყოველთვის, როცა სამუშაო მაგიდას მიუჯდები, არ განიცდი ეშეშარიტ გზნებას და კვალდაკვალ არ მიჰყვები იმ საკითხებს, რომლებსაც ჩვენი დიდებული ცხოვრება და პარტია აყენებენ, მაშინ როგორც მხატვარს უსათუოდ გიღალატებს სიახლის გრძნობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ახალი ნაწარმოების დაბადება და მწერალი იქცევა უსულგულო ფორმალისტად, „ძველ“ —დრომოჭმულ მწერლად.

თუ უკვე დაგეკარგა ცხოვრების ინტერესი, თუ წინანდებურად არ გაღელვებს მისი სიხასხასე და მშვენიერება, მაშინ მკითხველი შენს ნაწარმოებს გულგრილად შეაქცევს ზურგს, ხოლო გულგრილობა, მოწყენილობა და სიკვდილი იდეტური ცნებებია ლიტერატურაში.

ორმოცდახუთი წლის გმირობა ხალხისა, რომელსაც მხარში ვუდექით ამ წლების განმავლობაში, მუდამ გვიმტკიცებდა და გვიძლიერებდა მომავლის რწმენას. ამიტომაც ვამაყობთ ჩვენი წარსულითა და დღევანდელი დღით, რომელიც უფრო მშვენიერი და დიადი. რწმენა წარმოუდგენელია, თუ არ იქნება რწმენა ხალხის ჯანსაღი ტრადიციებისა.

ცნობილია, რომ ქართული მწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში მისმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა შექმნა თავისი რეალისტური, სოციალურ-პატრიოტული კონფლიქტებით გამსჭვალული ნაწარმოები. ჯერ კიდევ იმ შორეულ ეპოქაში იჩინა თავი შეურიგებელმა წინააღმდეგობამ სიკეთისა და სამართლიანობის იდეებით შთაგონებულ დიდ ლიტერატურასა და ყოველგვარ ლიტერატურულ საქმიანობას შორის ჰუმანურობისა და იდეურობის იმ ტრადიციამ, რომელთა კანონიერ მემკვიდრეებად სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ დღევანდელი ქართული მწერლობის შემოქმედნი. პარტიის XX ყრილობის შემდეგ ფართოდ გაიღო რაბები, და საქართველოს მთელ ლიტერატურასა და ხელოვნებაში თამამად შემოვიდა მხატვრთა, კომპოზიტორთა, კინომოღვაწეთა და, რასაკვირველია, მწერალთა ახალი ნაკადი. ეს ფაქტი ახლა ჩვეულებრივ მოვლენად გვეჩვენება, რადგან ამ გარემოებას უკვე შევეჩვიეთ. მაგრამ იგი მუდამ უნდა გვახსოვდეს.

ჩვენ დღეს ახალ ზღუდეებს ვიპყრობთ. ჩვენ არა მარტო ვიცხოვრებთ კომუნიზმში, არამედ მისი მშენებლებიც ვართ. ეპოქის ახალი საქმეები და ამოცანები ახალ ენერგიას წარმოშობენ, სულ უფრო თვალსაჩინოდ ავლენენს ამ ძალას ჩვენი ლიტერატურა, ვგრძნობთ ამ ძალის ზრდას, რომელშიც ერთმანეთს შეერწყმიან მომავლის დიდი რწმენა და მტკიცე პროტესტი ყოველივე ძველისა და წარმავლის წინააღმდეგ. ამაზე მეტყველებენ ქართული მწერლობის უფროსი და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ნაწარმოებები.

უკვე პარტიის XX ყრილობის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში შემოსული ახალგაზრდა მწერლებიდან ბევრი სწავლობდა ჩვენს უნივერსიტეტში, მოსკოვში, ზოგიერთმა გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში მიიღო იდეური და შემოქმედებითი წრთობა. ახლა ისინი მთელი თავიანთი შესაძლებლობით მუშაობენ და ქმნიან ნაწარმოებებს, რომელთაგან ზოგიერთი ცნობილი გახდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

უნდა ითქვას, რომ ადვილი საქმე როდი იყო მუდამ ახალი. იგი მარტო პროცესიული გამოცდილებით როდია განპირობებული. მას უნდა მივადწიოთ გამუდმებულ ბრძოლაში, საკუთარ თავთან, საკუთარი შეხედულებისა და სათქმელის ძიებით, საკუთარის, ისეთის, ჯერ სხვას რომ არ უთქვამს და უნდა ითქვას, ზრდის ასეთ რთულ პროცესში ზოგიერთი ახალგაზრდა ლიტერატორი ცდუნებაში ვარდება. ზოგჯერ მათს შემოქმედებაში გაისმის არაბუნებრივი ხმებიც, ყელის გამოძახილი იმ მაღალოსტატური ნაწარმოებებისა, რომლებიც სულ სხვა სოციალურ წრეშია შექმნილი. სულ სხვა საქმეა იყო მებრძოლი, შემტევი მწერლობის ტრადიციების — გორკისა და მაიაკოვსკის, შოლოხოვის, ტვარდოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის ტრადიციების დამცველი და განმგრძობი. ეს არის ცხოვრებისადმი დამოკიდებულების, სინამდვილესთან და ხალხთან მჭიდრო კავშირის მათი გამოცდილების ათვისება და ახალ პირობებში გამოყენება.

ამიტომ საძრახისი როდია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობდეს მწერალი. ბევრმა ჩვენმა ახალგაზრდა მწერალმა დიდი სამამულო ომის მძიმე განსაცდელი გადაიტანა, ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ისინი ნაადრევად მომწიფდნენ. შეიძლება სწორედ ამიტომაც იგრძნობა მათს წიგნებში ზოგჯერ არა მარტო ახალგაზრდული სიფიცხე და მგზნებარება, არამედ ერთგვარი ჩაფიქრებულობაც, რაც ცხოვრებაში მრავლისმნახველი და გამოცდილი ადამიანისთვის უფროა დამახასიათებელი. შეიძლება მათი ცხოვრებისეული გამოცდილება მდიდარი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ მათ ადვილად შეიცნეს საკუთარ განცდათა მთელი სიღრმე, ჯარისკაცთა ქვრივებისა და დაობლებული ბავშვების დიდი მწუხარება. ალბათ სწორედ ამიტომ არის მათთვის ესოდენ მახლობელი და ორგანული ხაჭოთა ჰუმანიზმი — სიყვარულის, ძმობისა და მშვიდობის პრინციპები, წარსული ისტორიის დიდი ამბები მათთვის თითქოს იწყება სამამულო. ომის წლებით, რომელიც ფიქრებისა და შემოქმედებითი ფანტაზიის ვრცელ ასპარეზს იძლევა და წარმოადგენს ჩვენი ხალხის დიდი გმირობის, ერთგულებისა და სიმტკიცის ნიმუშს.

ქართულ მწერლობაში მოსული ახალი თაობის ხმა ბევრ საინტერესოა და ხასხარულოს გვპირდება. მაგრამ როგორც ყოველი ახალგაზრდული ხმა, და რა დასამალავია, ეს შეიძლება ძველებსაც ითქვას, ზოგჯერ ვერ უძლებს დიდ დატვირთვას.

გაუგებარი სტრიქონები, არეულ-დარეული აზრები, სახის ბუნდოვანება, ყველაფერი ეს, ცხადია, ამცირებს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ დონეს. განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლებმა უნდა ისწავლონ გამუდმებითი, ბეჯითად, ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ პარტიის დიადი მოწოდება: „ხელოვნება მილიონებს უნდა ემსახურებოდეს“.

ჩვენი ახალგაზრდები წერენ ლექსებს, მოთხრობებს ჩვენს თანამედროვეობაზე, ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანებზე, მათი ყურადღება მიქცეულია შრომის სიყვარულის, სიკეთისა და სამართლიანობის პრობლემებისაკენ. ისინი, როგორც პარტიის ერთგული თანამშეწენი, კვლავაც შეუწყობენ ხელს ცხოვრებაში დიდ ლენინურ წინასწარდახასულობათა განხორციელებას.

თანამედროვე ქართველი საბჭოთა მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებში ამაყად გაისმის საბჭოთა ადამიანის მგზნებარე ხმა, ბრწყინავენ უკვდავი იდეები მარქსიზმ-ლენინიზმისა, რომლის შუქიც, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გვითხრა, დღეს უბრალოდ კი არ დადის მთელ მსოფლიოში, არამედ თავისი დროშით აერთიანებს და რაზმავს ადამიანთა ახალ და ახალ მილიონებს. სწორედ ამაშია დიდი ძალა ჩვენი ლიტერატურისა, ამაშია მისი იდეების დიდი მისწრფველობითი ძალა, მისი როლის მნიშვნელობა მსოფლიო, ზოგადსაკაცობრიო კულტურისათვის.

დემნა შენგელაია.

მხატვარ ვ. მდივნის ტილო „ქართული ჩაი“.

ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲐ?

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 21 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო გვატყობინებს:

ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაზრისით, ცენტრალური ამერიკის ქვეყნების თათბირი სან-ხოსეში, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატებიც მონაწილეობდნენ, წარმატებით დამთავრდა — ასეთია ოფიციალური ვაშინგტონისა და ამერიკის პრესის აზრი. თათბირის შედეგების შესახებ ცნობებში წამდაუწუმ გვხვდება ასეთი ფრაზები: „სან-ხოსეს ისტორიული დეკლარაცია“, „ცენტრალურ ამერიკაში სტაბილურობის განმტკიცება“, „ისტორიული წარმატება კუბიდან კომუნიზმის გავრცელების საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში“, და ა. შ.

ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაზრისი თათბირის შედეგების შესახებ როდი იწვევს გაკვირვებას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მართლაც „მიიღწიეს წარმატებას“ იმაში, რომ ცენტრალური ამერიკის „ბანანის რესპუბლიკები“ კიდევ უფრო დამოკიდებული გახდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

უნდა ითქვას, რომ შეერთებულ შტატებს დიდი ჯაფა როდი დაადგათ ამ „წარმატების“ მისაღწევად. „ბანანის რესპუბლიკების“ პრეზიდენტები ამერიკის შეერთებულ შტატებზე ნაკლებად როდი არიან დაშინებული მაგალითად, ლათინური ამერიკის დანარჩენ ქვეყნებს რომ ამლევეს კუბელი ხალხი, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება. ცენტრალური ამერიკის იმ ქვეყნების მმართველებს, რომლებიც კუბასთან უშუალოდ ახლო მდებარეობენ, ძლიერ აწუხებთ თავიანთი პირადი ბედი: მათ ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით ხელი აიღეს ძალაუფლება და ახლა გაჰკივიან „კომუნისტურ საფრთხეზე“, ახსოვთ რა მათი მსგავსი დიქტატორის ბედი, რომელიც ოდესღაც მართავდა კუბას. კოსტა-რიკის თათბირის მონაწილეებმა კარგად გაიგეს ერთმანეთს. ეს მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირი როდი იყო. იგი, უწინარეს ყოვლისა, იყო მილიონერთა თათბირი. დამახასიათებელია, რომ იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო, რომელიც თათბირის წინა დღეს ცენტრალური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტების შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს გადმოსცემდა, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კოსტა-რიკის პრეზიდენტი ორლიჩი მილიონერი პლანტატორია, პანამის პრეზიდენტი ჩიაგი — მილიონერი ბიზნესმენი, ნიკარაგუას პრეზიდენტი სომოსა — ძლიერი ოჯახის წევრია, რომელიც უკვე 30 წელია მართავს ამ ქვეყანას.

როგორც ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ აღნიშნავს, ტყუილად როდი გამოიწვია თათბირის მონაწილეების — ცენტრალური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლთა განსაკუთრებული ინტერესი შეერთებული შტატების მზადყოფნამ „დიდწყოს სამხედრო მოქმედება მთავრობათა აღსადგენად“, თუ მათ რევოლუცია დაამხობს. ჟურნალი, რომ „კენედის ვიზიტით ცენტრალური ამერიკისათვის შეიძლება დაიწყოს სტაბილურობის ახალი ერა, რომლის გარანტიას შეერთებული შტატები იძლევიან“.

სან-ხოსეს თათბირის შედეგების შესახებ კომენტარებში ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ თათბირის მონაწილეები საჯარო გამოსვლებში დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ კუბაში ახალი შეჭრის მიწყობის საკითხს. მაშინ, როცა თათბირის წინ გვატემალის პრეზიდენტმა ფუენტესმა განაცხადა, რომ „კუბის საგაიმართა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტების თათბირი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისთან, ზუსტად მეორე დღეს გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელმაც ფარდა ახადა ჭეშმარიტ — ძალიან ძმიმე მდგომარეობას და მის მიზეზებს ცენტრალურ ამერიკაში. საქმე ეხება თათბირის მონაწილე ექვსი ქვეყნის — გონდურასის, კოსტა-რიკის, ნიკარაგუის, გვატემალის, სალვადორისა და პანამის პრეზიდენტთა ერთობლივ განცხადებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საგარეო ვაჭრობა, რომლის უდიდესი ნაწილი, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის, წარმოებს უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში. საექსპორტო საქონლის ფასი განუწყვეტლივ ეცემა მაშინ, როდესაც საიმპორტო საქონლის ფასები იზრდება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის 55 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, მცხოვრებთა 53 პროცენტი არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით. დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა.

პრეზიდენტები აღიარებენ, რომ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში აგრარული პრობლემა არ არის გადაწყვეტილი, მიწის დიდი ნაწილი თავმოყრილია რამდენიმე პირის ხელში. ძალიან მწვავეა აგრეთვე უმუშევრობის პრობლემა.

კითხი მხოლოდ ხიშტების დახმარებით შეიძლება გადაიჭრასო“.

ᲡᲐᲜ-ᲮᲝᲡᲔ, 21 მარტი. (საკდესი). აქ ... ᲛᲐᲠᲗᲘ. (საკდესი). ... ᲛᲘᲬᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ.

Ჯ. ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 22 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ თავისი გუშინდელი პრეს-კონფერენცია დაიწყო განცხადებით ცენტრალური ამერიკის ქვეყნების კონფერენციის შედეგების შესახებ, რომელიც კოსტა-რიკის დედაქალაქ სან-ხოსეში მიმდინარეობდა. თავის განცხადებაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ზოგადად გამეორა დეკლარაცია, რომელიც ამ კონფერენციამ მიიღო. კერძოდ, კენედიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყველა ღონისძიებას ახორციელებენ, გარდა ბლოკადისა, კუბის იზოლაციისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, თქვა მან, ჩვენ ყოველგვარ ღონისძიებას მივმართავთ, რომელიც ეფექტურად მიგვაჩნია.

კორესპონდენტთა შეკითხვების პასუხად კენედიმ განაცხადა, წელს ევროპაში მოგზაურობის დროს იმედი მაქვს დასავლეთ ბერლინს ვეწვეოო.

კენედის სთხოვეს გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება საბჭოთა გემზე იმ მეკობრული თავდასხმისადმი, რომელიც კუბელ კონტრრევოლუციონერთა ჯგუფმა მოაწყო კუბის სანაპიროსთან. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ამ კითხვაზე რომ უპასუხებდა, ამტკიცებდა, რომ ეს ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიიდან არ მოქმედებდა და რომ იგი დაკავშირებული არ არის ამერიკის მთავრობასთან.

ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად კენედიმ განაცხადა, რომ თუმცა მისი იმედები ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადებზე რამდენადმე შესუსტდა, მას მაინც აქვს იმედი, რომ ასეთი ხელშეკრულება დაიდება. მე მაწუხებს ის აზრი, თქვა პრეზიდენტმა, რომ 70-იან წლებში ატომური იარაღი შეიძლება ჰქონდეს 15, 20 ან 25 სახელმწიფოს.

კენედიმ აგრეთვე უპასუხა შეკითხვებზე, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების საშნაო მდგომარეობას შეეხებოდა.

ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲣᲦᲚᲘᲗ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 21 მარტი. (საკდესი). დღეს სეულში გაიმართა ახალი დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ სამხედრო ხუნტის მეთაურმა პაკ ჯონ ხიმ უარი თქვა დაუწესოს სამოქალაქო მართვა-გამგეობა. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, პაკ ჯონ ხის რეჟიმის 300 მოწინააღმდეგე, რომლებიც გაიძახოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებს, დაბარიკადდნენ შენობის ნანგრევებში სეულის საქმიან ნაწილში და მთელი საათის განმავლობაში არ უშვებდნენ იქ პოლიციას. 100-ზე მეტი პოლიციელი ძლივს შეიჭრა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა მიტინგი, იმ დროს, როცა ასობით სხვა პოლიციელი აკავებდა დიდძალ ხალხს ქუჩაში. დემონსტრანტებმა, რომლებსაც ყოფილი პრემიერი ხო ჯონი მეთაურობდა, დატოვეს შენობა იმ პირობით, რომ არ მოაწყობენ დემონსტრაციებს ქუჩებში, თუ პოლიცია არ დაიწყებს მათ დაპატიმრებას.

ᲯᲐᲠᲝᲚᲓ ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 21 მარტი. (საკდესი). ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჰაროლდ ვილსონმა თავის ინტერვიუში, რომელიც გადაიცა დასავლეთ ბერლინის ტელევიზიით, მხარი დაუჭირა იმას, რომ გაიმართოს მოლაპარაკება დასავლეთ ბერლინთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისათვის.

ვილსონმა ხაზი გაუსვა, რომ ასეთი მოლაპარაკების დროს დასავლეთმა მხედველობაში უნდა მიიღოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტი.

შემდგომ კითხვებზე პასუხის გაცემისას, ვილსონმა მკაცრად დაგმო საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების შეთანხმების პოლიტიკა, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა ეგრეთ წოდებულ „პარიზ-ბონისღერძით“ და გაიღაშქრა ნატოს „მრავალმხრივი ატომური შეიარაღებული ძალების“ შექმნის გეგმების წინააღმდეგ, რომლებიც დასავლეთ გერმანიის რევანშისტებს გზას გაუხსნიდა ატომური იარაღისაკენ. „მრავალმხრივი ატომური შეიარაღებული ძალების“ შექმნის გეგმებს რომ ეხებოდა, ვილსონმა განაცხადა, რომ ასეთი გეგმები სეროიზულ დაბრკოლებას უქმნიან შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ამასთან ერთად, ასეთი შეთანხმების მიღწევის რეალურ შესაძლებლობად ვილსონს მიაჩნია საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში.

ᲯᲐᲕᲨᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ „ᲡᲐᲤᲠᲝᲜᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ“

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 21 მარტი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მობილური პოლიცია, რომელიც შედგენილია სამხედრო ყაიდაზე, აძლიერებს თავის საბრძოლო აღჭურვილობას. იგი ახლა დასავლეთ გერმანიიდან იღებს ჯავშნოსნებს. როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ახალი საბრძოლო ტექნიკა გათვალისწინებულია იმისათვის, რომ განხორციელდეს პროვოკაციები დასავლეთ ბერლინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

◆ **1962 ᲬᲚᲘᲡ** ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲒᲠᲝᲑᲓᲐ 95 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 300 ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ.

◆ **20 ᲛᲐᲠᲢᲘ** ᲦᲐᲛᲘᲗ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲘᲡ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲨᲘ 80 ᲛᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲗᲐᲜ ᲩᲐᲘᲫᲘᲠᲐ ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲢᲒᲘᲠᲝᲗᲘ ᲑᲔᲛᲘ „ᲰᲔᲒ ᲐᲠᲜᲔᲚᲘ“ 6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲧᲐᲚᲬᲧᲕᲘᲡᲐ. ᲔᲙᲘᲐᲞᲐᲫᲘᲡ 32 ᲬᲔᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲑᲐᲓᲐᲠᲩᲐ 13 ᲐᲙᲐᲪᲘ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲗᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘᲐ.

ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 21 მარტი. (საკდესი). საფრანგეთში დიდი ინტერესით შეხვდნენ საბჭოთა კავშირში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი 13“ გაშვებას.

ფრანს პრესის სააგენტომ ნახევარ სიტყვაზე შეწყვიტა თავისი გადაცემები პარიზისა და პროვინციული გზეთებისათვის, რათა გამოეცხადებინა:

„ელვა: საბჭოთა კავშირმა დღეს წარმატებით განახორციელა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება...“ რამდენიმე წუთის შემდეგ სააგენტოს ტელეტაიპებმა დაიწყეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ ახალი წარმატების შესახებ დაწვრილებითი ცნობების გადაცემა.

„კოსმოსი-13“-ის გაშვების შესახებ ჯერ მოკლე, ხოლო შემდეგ დაწვრილებითი ცნობა გადასცა აგრეთვე საფრანგეთის რადიომ.

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲑᲔᲚ�გᲠᲐᲓᲘ, 21 მარტი. (საკდესი). იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას 1962 წელს ახასიათებდა, ის, რომ განუწყვეტლივ ფართოვდებოდა მეგობრული თანამშრომლობა საქმიანობის მთელ რიგ დარგებში, ნათქვამია ანგარიშში იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს გასული წლის საქმიანობის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიპასუხო ვიზიტი იუგოსლავიაში 1962 წლის სექტემბერში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ორი სოციალისტური ქვეყნის ურთიერთობისა და თ

ინტერვიუ • ცნობები • ფაქტები • სპორტის ამბები

მეგობრობის 50 კონცერტი

ჩვენი ინტერვიუ

ქართველ მსახიობთა გასტროლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში

□

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა ერთი ჯგუფი ორი თვის განმავლობაში საგასტროლოდ იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში.

ამ დღეებში ქართველი მსახიობები დაბრუნდნენ საგასტროლო მოგზაურობიდან. „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა ჯგუფის ხელმძღვანელს კ. ბეჭვაიას. მან თქვა:

— საქართველოს ფილარმონიის წარგზავნილებს შორის იყვნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები გ. დოლიძე, ე. მირანაშვილი, ლ. მითაიშვილი და მსახიობები თ. ზაალიშვილი; ფილარმონიის მსახიობები საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ლ. გეგელია, ნ. ზედგინიძე, ე. აგაბეკოვა-გოძიაშვილი, ინსტრუმენტალურ-ვოკალური კვარტეტი „ორეია“ რ. ბარძიმაშვილის, თ. დავითაიას, თ. ფანჩოშვილის, ზ. იაშვილის შემადგენლობით, მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V და VI ფესტივალების ლაურეატები გ. ბერაძე და ი. ზედაშიძე, აგრეთვე ალა და რობერტ ზალინაშვილები.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართველმა მსახიობებმა 29 კონცერტი გამართეს. წარმატებით გამოვიდნენ ისინი ბერლინში, დრეზდენში, კარლმარქს-შტადტში, აგრეთვე სხვა ქალაქებში.

იმ ხანად გერმანიაში დიდი სიცივეები იყო. მცხოვრებლები გარეთ გამოსვლას ერიდებოდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დარბაზები, სადაც საქართველოს წარგზავნილები გამოდიოდნენ, მუდამ ხალხით იყო გაჭედილი. მაყურებელთა მოწონებას იმსახურებდა ქართველ მსახიობთა მრავალფეროვანი რეპერტუარი. ისინი ასრულებდნენ ქართველ, რუს აგრეთვე დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა სიმღერებს. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს რ. ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“. ყველგან, სადაც კი შევედოდით, კაფე იქნებოდა ეს თუ რესტორანი, გვესმოდა ეს მელოდია.

ყველგან გულთბილად გვხვდებოდნენ.

მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე გერმანიაში ყოფნისას იყო 22 იანვარი. ეს დღე, ალბათ, ყველა ჩვენგანს დიდხანს კვემახსოვრება. ბერლინში, საბჭოთა საელჩოს შენობაში ჩვენმა ელჩმა ა. ა. აბრასიმოვმა „საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად საადილი გამართა. საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი იმ ხანად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც სკკპ დელეგაციის ხელმძღვანელი. სადილს ესწრებოდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრები ვ. ულბრიხტის მეთაურობით.

სადილის შემდეგ ჩვენმა მსახიობებმა გამართეს კონცერტი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. ნ. ს. ხრუშჩოვმა კონცერტის დამთავრებისთანავე მიგვიწვია თავისთან და დიდხანს მეგობრულად გვესაუბრებოდა. გამოთხოვებისას გვისურვა წარმატება ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნისას ქართველმა მსახიობებმა რამდენიმე საშეფო კონცერტი გამართეს გერმანიაში მყოფი საბჭოთა მეომრებისათვის, აგრეთვე საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებისათვის.

შემდეგ პოლონეთში გავემგზავრეთ. ქართველი მსახიობები კონცერტებით გამოვიდნენ ლეგნიცაში, შტეტინში, ვრაცლავში, ბრატისლავასა და ვარშავაში. 9 მარტს კი ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ვარშავის ტელევიზიით გამოვიდნენ.

ვარშავაში ქართველ მსახიობებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახლში. აქ ჩვენი მსახიობების პატივსაცემად შეიკრიბნენ დედაქალაქის ხელოვნების მუშაკები, მეგობრობის სახლის აქტივისტები.

საინტერესო შეხვედრები გვქონდა პოლონეთის სხვა ქალაქებშიც. ჩვენ ვეცნობოდით ამ ქვეყნის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ისტორიულ ძეგლებს.

ამ ორ ქვეყანაში ქართველმა მსახიობებმა გამართეს 50 კონცერტი. თუ რა წარმატება ჰქონდა მათ გამოსვლებს, ამაზე მეტყველებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის პრესაში გამოქვეყნებული წერილები, რეცენზიები, რომლებიც აგრეთვე გულმართალი მეგობრობის მკაფიო სტრიქონებია.

თბილისში იმღერებს ჰერლია

ჩვენი ქალაქის საოპერო ხელოვნების კარგად ახსოვთ რუმინელი მომღერალი, „ბარიტონთა მეფედ“ წოდებული ნ. ჰერლია. ამ რამდენიმე წლის წინათ წარმატებით ჩაიარა მისმა გასტროლებმა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. მაშინ მომღერალი სამ ოპერაში „ტრავიატაში“, „ჯამბაზებსა“ და „სევილიელ დალაქში“ გამოვიდა. ამ დღეებში ჰერლია ისევ ჩამოვიდა საგასტროლოდ ჩვენს ქალაქში.

ნ. ჰერლია ბუქარესტის კონსერვატორიის დამთავრებისთანავე მიღებულ იქნა სოლისტად ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამჟამად იგი ამ თეატრის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტია.

რუმინელი მომღერალი საგასტროლოდ თავ ყავშირში, ფინეთში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, თურქეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში.

თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ნ. ჰერლიას გამოსვლები გაიმართება 24 მარტს ოპერა „ტრუბადურში“, 27 მარტს — „ჯამბაზებში“, 29 მარტს — „სევილიელ დალაქში“.

სურათზე: რუმინელი მომღერალი ნ. ჰერლია.

ოპერა „ვინდია“ ეოსკოვში

ლენინური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით 6 აპრილს მოსკოვში პროფკავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესრულდება კომპოზიტორ **ოთარ თაქთაქიშვილის** ოპერა „**ვინდია**“, რომელიც ლენინური პრემიის მოსაპოვებლად არის წარდგენილი.

ოპერაში მთავარ პარტიებს შეასრულებენ **პ. ამირანაშვილი, მ. ამირანაშვილი, ზ. ანჯაფარიძე** და **ი. შუშანია.**

ოპერა შესრულდება უდეკორაციებოდ. მსახიობები გამოვლენ ეროვნულ ფასკენონ კოსტიუმებით. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო რადიოკომიტეტის დიდი სიმფონიური ორკესტრი და მომღერალთა გუნდი 150 კაცის შემადგენლობით. დირიჟორი იქნება ოდისეი დიმიტრიადი.

ახალი დადგმები

თელავი. (საკ. კორ.). თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა **ნ. დუმბაძისა** და **გ. ლორთქიფანიძის** პიესა „მე ვხედავ მზეს“.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ვ. მაღლაფერიძემ.

ცაგერი. (საკ. კორ.). სახალხო თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად უჩვენა **პ. კაკაბაძის** სამოქმედებიანი კომედია „ცხოვრების ჯარა“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. მდივანმა.

თოვლთან გრძოლაში

ამბროლაური. (საკ. კორ.). ამას წინათ მთიანი რაჭის სოფლებში დიდი თოვლი მოვიდა. ჩაიკეტა სასოფლო გზები. დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა ღების კოლმეურნეობის ფერმა, რომელიც ალპურ ზონაში, მდინარე რიონის სათავეში მდებარეობს.

ღებელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს რადაც უნდა დასჯდომოდათ გაეჭრათ თოვლი და მიშველებოდნენ ფერმის მუშაკებს. დაიწყო შერკინება სტიქიასთან. სამი დღეღამის განმავლობაში ადამიანები შეუპოვარი სიმამაცით ებრძოდნენ ზვავებს, მიიწევდნენ წინ.

თოვლთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კოლმეურნეებმა კ. გავაშელმა, გ. გობეჯიშვილმა, ტრაქტორისტმა ვ. ლობჟანიძემ, მეცხოველეობის ფერმის გამგემ ი. გავაშელმა და სხვ.

კოლმეურნეთა მამაცობამ დაღუპვისაგან იხსნა დიდძალი საზოგადოებრივი პირუტყვი.

ამანათის სიცოცხლე მოაქვს

წამლებს, რომელთა ეტიკეტებზე, გარდა დასახელებისა, წერია — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო, შეიძლება შეხვდეთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის აფთიაქებში და სამკურნალო დაწესებულებებში, არამედ შორეულ ქვეყნებშიც.

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის საამქროებში მზადდება ათასგვარი დასახელების ინექციური, ტაბლეტური და ნაყენი საშუალებები. ეს რთული ტექნოლოგიური პროცესები მრავალ ჯაფასა და საქმის ღრმად ცოდნას მოითხოვს. გრძელი გზა უნდა გაიაროს პრეპარატმა, სანამ დასრულებული სახით, შეფუთული და შემოწმებული, აფთიაქის თაროზე მოექცეოდეს. ქარხანაში მომუშავე ადამიანებმა კარგად იციან, რომ ადამიანის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან აქვთ საქმე. ამიტომ საათის მექანიზმივით ზუსტია მეპარატეების, დამკვირვებლების, წუნმდებლების, მემანქანეების, დამფასებლების, ლაბორანტების, ფარმაცევტების მოქმედება. მრავალრიცხოვან საამქროებსა და განყოფილებებში ყველაფერს სისუფთავე და სიფაქიზე ატყვია.

ქარხანაში დამზადებული პროდუქცია მაღალი ხარისხით გამოირჩევა და „სოიუზხიმექსპორტის“ სიებში თბილისის ქარხნის პრეპარატებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. გარდა ამისა, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა თვითონ გზავნის იშვიათ და საჭირო მედიკამენტებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ტანინი შემკვრელი და აღდგენითი საშუალებაა და იხმარება არა მარტო მედიცინაში, არამედ კვების მრეწველობაშიც. თბილისის ქარხანა ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც ამ პროდუქციას უშვებს ასე დიდი რაოდენობით. მას გზავნიან არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში, არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაშიც. ამას წინათ ქარხანამ ტანინის დიდი პარტია გაგზავნა კუბასა და რუმინეთში. მარტო წელს გაიგზავნა: ტანალბინი — იუგოსლავიაში, სტრიხნინი — ბულგარეთში, კორეასა და მონღოლეთში. ისეთი საჭირო პრეპარატი, როგორიც არის ტუბერკულოზის საწინააღმდეგო — ალოე, დასუსტებული ორგანიზმის აღმდგენელი — დუბლექსი, გულის საშუალება — დიგალენი —ნეო, დარიშხანა, ნოვოკაინი და სხვა გაგზავნილ იქნა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, კამბოჯაში, სუდანში.

სულ უფრო ფართოვდება თბილისში დამზადებული მედიკამენტების ექსპორტი. მოდის ახალი შეკვეთები სხვადასხვა მხრიდან და ისინი, ვინც აქ შრომობენ, გრძნობენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ აკისრიათ. მრავალრიცხოვან კოლექტივში პატივისცემით სარგებლობენ კომუნისტური შრომის დამკვრელები. დამკავშირებელი ნინელი ჯღამაძე, მეპარატეები ზაალ კუმრიტოვი, გურამ პარკაძე, შალვა ინაშვილი, მარია ვინოგრადოვა, მემანქანე მარია ბარდინოვა, წუნმდებელი თამარ გოგლაძე, სატაბლეტო საამქროს დამფასებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლამარა ნაცვლიშვილი და სხვები, რომლებიც კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. იბრძვიან ადამიანის სიცოცხლისათვის. მათ კარგად იციან, რომ მათ მიერ დამზადებულ პროდუქციას სიცოცხლე და ჯანმრთელობა მოაქვს ადამიანებისათვის.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

„ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“ — შემდგენელი ვანო შადური, რედაქტორი კ. ბობოხიძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. ტირაჟი 5000, ფასი 1 მან. 43 კაპ.

ო. ბაქანიძე — „**ალექსანდრე სერაფიმოვიჩი**“. რედაქტორი ო. ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტირაჟი 2000, ფასი 42 კაპ.

მ. დარბინიანი — „**სულდი და ბულდი**“, თარგმანი ი. გრიშაშვილისა, რედაქტორი ლ. გეგელია, ტირაჟი 5.000, ფასი 7 კაპ.

ა. ჯამატოვი — „**უმუხის ტრამალებზე**“, თარგმანი ე. უბილავასი, რედაქტორი ჯ. ჭანტურაია. გამომცემლობა „ნაკადული“. ტირაჟი 5000, ფასი 21 კაპ.

„სპორტი სსრ კავშირში“ № 1

საბჭოთა სპორტულ გამოცემებს ახალიც შეემატა: გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალის „**სპორტი სსრ კავშირში**“ პირველი ნომერი — იგი ჟურნალ „**საბჭოთა კავშირის**“ დამატებაა.

„ახალშობილი“ მოგვითხრობს სსრ კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის შესახებ, საუკეთესო საბჭოთა ათლეტებზე, სპორტულ კოლექტივებზე, დიდ შეჯიბრებებზე.

ყოველთვიური ჟურნალი კარგად არის დასურათებული და გამოდის ექვს ენაზე — რუსულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე. (საკვლევი).

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ

◆ **ტოკიო.** (საკ. კორ.). მეშახტეთა კულტურის სასახლესთან შეიქმნა ქართული ხალხური საკრავების თვითმოქმედი ორკესტრი. მუსიკალურმა დასმა ამ დღეებში გამართა თავისი პირველი კონცერტი.

◆ **ონი.** (საკ. კორ.). სულ უფრო ფართოვდება ქ. ონის საზოგადოებრივი კვების ქსელი. მოსახლეობის სამსახურში დგას კეთილმოწყობილი რესტორანი „მამისონი“, სასადილოები, სასაუზმეები, სახურსათო მაღაზიები.

ქალაქის კოოპერატივის გამგეობამ ამ დღეებში კიდევ ერთი ახალი სასაუზმე გახსნა. იგი მეტწილად ემსახურება თბილისში, ქუთაისში და ამბროლაურში მომავალ მგზავრებს.

◆ **ლენტეხი.** (საკ. კორ.). სამი პატარა მეგობარი ფრიდონ ონინი, ბერდია და გურამ გუგავები წყლით სავსე აუზთან თამაშობდნენ. უეცრად ფრიდონს ფეხი დაუსხლტა და აუზში ჩავარდა. ბავშვი წყალში ჩაიძირა.

ფრიდონის მეგობარი პირველკლასელი ბერდია გუგავა არ დაიბნა. იგი ცივ წყალში გადაეშვა და გრძნობადაკარგული ამხანაგი აუზიდან ამოიყვანა. ხმაურზე ხალხიც მოვიდა. პატარას პირველი დახმარება აღმოუჩინეს და მოასულიერეს.

◆ **ქალაქ** ახალციხეში ორჯონიკიძის ქუჩაზე აშენდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ოთხსართულიანი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

პირველ სართულზე იქნება აფთიაქი.

ალ. გუტულაშვილი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ ᲰᲔᲠᲚᲘᲐ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

23 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (მე-12 აბონ. მე-9 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — ბახტრიონი (მე-9 აბონ. მე-4 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეურად კვდებიან (მე-4 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ხედი ხიდიდან (აბონ. გარეშე), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (კინიგზელთა სახლში) — სამი უფროსის მსახური, **სანკულტურის** — ოჯახური დავიდარაბა, **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გლახის ნაამბობი (აბონ. № 33, 5 ს.), **თოჯინების ქართული** — დაიყიალე მამალო (11 ს. და 2 ს.).

ᲤᲐᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

23 მარტი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ჯეჯილი“, 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა ციკლიდან — „იცით თუ არა“..., 19.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.40 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი“, 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — კონცერტი — „სიმღერები გაზაფხულზე“, 21.10 — კინონარკვევი, 21.20 — ახალი ამბები, 21.35 — მხატვრული ფილმი „დაკარგული სამოთხე“.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

23 მარტი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კოსმოსი, თანამგზავრი** — „ორი ბატონი №“, **თბილისი** — მდუმარე კვალი, **კომკავშირელი, საქართველო** (მწვანე დარბაზი) — კაპიტან ლოის სიზმარი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გაზაფხული, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — კოლეგები, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — მზის ამოსვლის წინ, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე, კომუნარების ბაღი, ნაკადული** — ხუანა გალიო, **დიდუბე** — რომში ღამე იყო, **ციროვის სახელობის პარკი** — ორი მოთხრობა (თეთრი ქალიშვილი, ალაევერდობა).

23 მარტი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — მუსიკა კინოფილმებიდან, 09.10 — ფრაგმენტები ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოდან“, 10.15 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკავშირო გამოშვება, 10.45 — სიმღერები გ. მიზიანოს შესრულებით, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — ნაწყვეტები ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“, 13.20 — „ქართული ხალხური სიმღერა და ლექსი“, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ზღაპარი სამღებრო ფუნჯზე“ (II ნაწილი), 14.45 — საუბარი — „იმპერიალიზმი შეწყდება“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ბაკოდან, 15.40 — ლიტერატურული გადაცემა — „ლექსები სამშობლოსა და პარტიაზე“, 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — ნ. გუდიაშვილის სურათები ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის — „ჩემი სამშობლოს ვილებზე“, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ლაპარაკობენ ნორჩი ლიტერატორები“, 18.10 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.15 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 19.30 — ვერდი „ტრუბადური“ — ტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. I ანტრაქტში — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი მოსკოვიდან; II ანტრაქტში — ლიტერატურული გადაცემა, 23.30 — საცეკვაო მუსიკა.

მეორე პროგრამით

20.00 — პოპულარული სიმფონიური მუსიკა, 21.00 — პოლევოის მოთხრობა „მარია“, 21.30 — საესტრადო კონცერტი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თბილისი. გაზაფხული ნორჩ ნატურალისტთა სადგურში.

ფოტოტეტიდი შ. ჩხეტიანისა.

ᲔᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲚᲣᲓᲘᲐ

მოვიდავეთა დიდი ფორუმის მოწმენი არიან თბილისელები. ეს არის სოფიის მსოფლიო ჩემპიონატის პრელუდია თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში იმყოფებიან სპორტული სამყაროს გამოჩენილი ოსტატები ირანიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, ფინეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რაფა ერთნელ კიდევ შეამოწმონ მზადყოფნა მომავალი ბაკქრობისათვის, მოსინჯონ ძალები. ტურნირზე მოქიდავეთა ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილია საბჭოთა გუნდი, რომელთა რიგებში არიან მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები, პრიზიორები.

თბილისს სპორტის სასახლეს ჩვეულებრივზე მეტი სტუმარი ყავდა გუშინ. ტურნირის გახსნას საზეიმო ხასიათი ჰქონდა, მოეწყო სპორტსმენთა პარადი. მოქიდავეებს მიესალმა შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. პიონერებმა სტუმრებს თაიგულები უძღვნეს.

ასპარეზობის პირველი დღე მეტად დატვირთული იყო. საჭიდაო ხალიჩაზე გამოვიდა 27 წყვილი. სტარტზე წარმატება ხვდათ ირანელ და საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებმაც ძლიერი შემადგენლობის გუნდები გამოიყვანეს.

სამი წყვილი ეცილებოდა ერთმანეთს უმჩატეს წონაში. მათ შორის ყველაზე საინტერესო იყო ჭიდობანები აბდულასი (ირანი) და რუმინელი ტეპედგას ორთაბრძოლა. მართალია, პირველ წუთებში აქტიურობდა რუმინელი სპორტსმენი, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო ირანელმა, რომლის ილეთის ილეთი მოჰყვა და 4 წუთსა და 56 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. შედარებით უფერული იყო ამავე წონითი კატეგორიის ორი წარმომადგენლის ბაუ ირდანოვის (ბულგარეთი) და სამედვის (სსრ კავშირი) შეხვედრა. მსაჯებმა ქულებით გამარჯვება სამედოვს მიაკუთვნეს. ასევე, ქულებით აღმარიანმა (სსრ კავშირი) მოუგო აბდუქარიმოვს (სსრ კავშირი).

ამის შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ მჩატე წონის მოქიდაველები. აქაც სამი წყვილი გამოვიდა. ორმხრივი ეერიშებით გამოირჩეოდა შ. შეყრილაძისა და მუშაღიანის (სსრ კავშირი) შეჯიბრება. თუ ფიზიკური მომზადებით უკეთ გამოიყურებოდა მუშიღიანი, ტექნიკურად ყურადღებას იპყრობდა ზ. შეყრილაძე და გამარჯვებაც მას ხვდა ქულებით. ორი საბჭოთა სპორტსმენის — ჯამილოვისა და კეკლაშვილის შეხვედრაში წარმატება პირველს ხვდა, ხოლო მესამე წყვილში იბრაგიმოვმა დაამარცხა (ქულებით) ა. შეყრილაძე.

ქვემსუბუქ წონაში მარიდაშვილისა და მარტყოფიშვილის წყვილი მოიხსნა პასიური ჭიდაობისათვის. კარსაულიძემ ძლია კლუშნიკს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ვეიკი იასკარიმ (ფინეთი) — იაბლოკოვს (სსრ კავშირი), მსოფლიოს 1961 წლის ჩემპიონმა საიბფურმა (ირანი) — ადოლფ კარუზის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

მსუბუქ წონაში ჭიდაობის მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბერუაშვილმა. მან 5 წუთსა და 2 წამში ორივე ბეჭით ლეიბზე მიაჯაჭვა მეტოქე მარიხოვი (ბულგარეთი). წარმატებით გამოვიდა აგრეთვე კოშკაძე კარაპეტიანის წინააღმდეგ. აქაც ფიქსირებული იქნა წმინდა გამარჯვება. კარაპეტიანი დამარცხდა. ამ წონაში კიდევ ორი წყვილი მონაწილეობდა.

მოეწყო აგრეთვე დანარჩენი წონითი კატეგორიის სპორტსმენთა გამოსვლები.

დღეს გაიმართება მორიგი წრის მატჩები.

ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲛᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜ რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა დაამთავრა ზამთრის საკავშირო ტურნირი. უკანასკნელ მატჩში რიგელებმა დაამარცხეს ტარტუს უნივერსიტეტის გუნდი ანგარიშით 59:43 და 11 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲒᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივმა დაამთავრა შეკრება ლესელიძეში და გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დაბრუნდა. საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე დინამოელები კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს გამართავენ. მათი მოწინააღმდეგე იქნება არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი. დუბლიორთა მატჩი ჩატარდება დღეს, ძირითადი შემადგენლობისა — 24 მარტს, ორივე თამაში შედგება „ბუერევესტნიკის“ სტადიონზე.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲑᲐᲫᲥᲝᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ ბაქოში გაიმართა პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „ნეფტიანიკისა“ და ირანის გუნდებს შორის. გამარჯვეს ირანელებმა ანგარიშით 2:1.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲚᲣᲓᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 22 მარტი (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს დილით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც ასამდე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი დაესწრო. აქ ჟურნალისტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მატჩის მთავარი არბიტრის მოადგილის, ინგლისელი საერთაშორისო ოსტატის ჰარი ბოლომბეკის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონების დოქტორ მაქს ეიტვესა და მიხაილ ტალის გამოსვლები.

საღამოს გაიმართა შეჯიბრების საზეიმო გახსნა. მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ე. ვალუევის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მონაწილეებს მიესალმა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე ბ. **ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲝᲕᲘ.** მთავარმა არბიტრმა, საერთაშორისო გროსმაისტერმა **ᲒᲘᲓᲘᲝᲜ ᲨᲢᲐᲚᲑᲔᲠᲒᲛᲐ** (შვეიცარია) დამსწრეთ გააცნო სამატჩო რეგლამენტი და პროგრამა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, საერთაშორისო გროსმაისტერს დოქტორ მაქს ეიტვეს, რომელმაც მონაწილეებს გადასცა ფიდეს პრეზიდენტ დოქტორ ფოლკე როგარდის მილოცვა და განაცხადა:

— ჩემი თვითეული ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში დიდ სიხარულს მანიჭებს. ამჯერად ამას ისიც ერთვის, რომ ვესწრები მსოფლიოს ორი უძლიერესი მოჭადრაკის საინტერესო ორთაბრძოლას.

ამრიგად, ხვალ ესტრადის თეატრის შენობაში იწყება ორი „ოლიმპიადის“ ორთაბრძოლა. პირველ პარტიაში თეთრებით პრეტენდენტი ითამაშებს.

„ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ“ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

მეგობრული შარეი გ. ფირცხალავასი.

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲡ ᲩᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 22 მარტი (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს დილით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც ასამდე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი დაესწრო. აქ ჟურნალისტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მატჩის მთავარი არბიტრის მოადგილის, ინგლისელი საერთაშორისო ოსტატის **ᲰᲐᲠᲘ ᲑᲝᲚᲝᲛᲑᲔᲙᲘᲡ,** მსოფლიოს ექს-ჩემპიონების დოქტორ **ᲛᲐᲥᲡ ᲔᲘᲢᲕᲔᲡᲐ** და **ᲛᲘᲮᲘᲚ ᲢᲐᲚᲘᲡ** გამოსვლები.

საღამოს გაიმართა შეჯიბრების საზეიმო გახსნა. მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ე. **ᲕᲐᲚᲣᲔᲕᲘᲡ** მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მონაწილეებს მიესალმა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე **ბ. ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲝᲕᲘ.** მთავარმა არბიტრმა, საერთაშორისო გროსმაისტერმა **ᲒᲘᲓᲘᲝᲜ ᲨᲢᲐᲚᲑᲔᲠᲒᲛᲐ** (შვეიცარია) დამსწრეთ გააცნო სამატჩო რეგლამენტი და პროგრამა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, საერთაშორისო გროსმაისტერს დოქტორ მაქს ეიტვეს, რომელმაც მონაწილეებს გადასცა ფიდეს პრეზიდენტ დოქტორ ფოლკე როგარდის მილოცვა და განაცხადა:

— ჩემი თვითეული ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში დიდ სიხარულს მანიჭებს. ამჯერად ამას ისიც ერთვის, რომ ვესწრები მსოფლიოს ორი უძლიერესი მოჭადრაკის საინტერესო ორთაბრძოლას.

ამრიგად, ხვალ ესტრადის თეატრის შენობაში იწყება ორი „ოლ